

(1991)

ალმა-ათის დეკლარაცია

დამოუკიდებელი სახელმწიფოები

- აზერბაიჯანის რესპუბლიკა, რესპუბლიკა სომხეთი, რესპუბლიკა ბელორუსი, რესპუბლიკა ყაზახეთი, რესპუბლიკა ყირგიზეთი, რესპუბლიკა მოლდოვა, რუსეთის ფედერაცია (რსფსრ), რესპუბლიკა ტაჯიკეთი, თურქმენეთი, რესპუბლიკა უზბეკეთი და უკრაინა,

მიისწრაფვიან რა ააშენონ დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოები, რომელთა შორის ურთიერთობები განვითარდება ერთმანეთის ცნობის და სახელმწიფო სუვერენიტეტის პატივისცემისა და სუვერენული თანასწორობის, თვითგამორკვევის განუყოფელი უფლების, თანასწორუფლებიანობისა და შინაგან საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების, ძალის გამოყენებასა და ძალის გამოყენების მოქარაზე, ზეწოლის ეკონომიკურ და ნებისმიერ სხვა მეთოდებზე უარის თქმის, დავების მშვიდობიანი მოწესრიგების, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემის, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ჩათვლით, ვალდებულებებისა და საერთაშორისო სამართლის სხვა საზოგადოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების კეთილსინდისიერი შესრულების საფუძველზე;

აღიარებენ და პატივს სცემენ რა ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობას და არსებული საზღვრების ურღვეობას;

თვლიან რა, რომ ღრმა ისტორიული ფესვების მქონე მეგობრობის, კეთილმეზობლობის და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განმტკიცება პასუხობს ხალხების ძირეულ ინტერესებს და ემსახურება მშვიდობისა და უსაფრთხოების საქმეს;

გათვითცნობიერებული აქვთ რა თავისი პასუხისმგებლობა სამოქალაქო მშვიდობისა და ერთაშორისი შეთანხმების შენარჩუნებისათვის;

ერთგულნი არიან რა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის თაობაზე შეთანხმების მიზნებისა და პრინციპების,

აცხადებენ შემდეგს:

თანამეგობრობის მონაწილეთა ურთიერთქმედება ხორციელდება თანასწორუფლებიანობის პრინციპზე მაკოორდინირებელი ინსტიტუტების მეშვეობით, რომელნიც ყალიბდებიან პარიტეტულ საფუძველზე და მოქმედებენ თანამეგობრობის მონაწილეთა შორის შეთანხმებებით განსაზღვრული წესით, რომელიც არ წარმოადგენს არც სახელმწიფოს, არც ზესახელმწიფოებრივ წარმონაქმნს.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა ღიაა მისი ყველა მონაწილის თანხმობით ყოფილი სსრკ წევრი - სახელმწიფოების მიერთებისათვის, აგრეთვე სხვა სახელმწიფოებისათვის, რომელნიც იზიარებენ თანამეგობრობის მიზნებს და ამოცანებს.

ადასტურებენ ერთგულებას ითანამშრომლონ საერთო-ეკონომიკური სივრცის, საერთო-ევროპული და საერთო-აზიური ბაზრების ფორმირებისა და განვითარების საქმეში.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნასთან ერთად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი წყვეტს თავის არსებობას.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი - სახელმწიფოები თავისი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად ყოფილი სსრკ ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან გამომდინარე საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების გარანტიას იძლევიან.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი - სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ განუხრელად დაიცვან ამ დეკლარაციის პრინციპები.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი **ა. მუთალიბოვი**; ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი **ნ. ნაზარბაევი**; რუსეთის ფედერაციის (რსფსრ) პრეზიდენტი **ბ. ელცინი**; უზბეკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი **ი. ქარიმოვი**; სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი **ლ. ტერ-პეტროსიანი**; ყირგიზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი **ა. აკაევი**; ტაჯიკეთი რესპუბლიკის პრეზიდენტი **რ. ნაბიევი**; უკრაინის პრეზიდენტი **ლ. კრავჩუკი**; ბელორუსიის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ც.**

შუშკევიჩი; მოლდოვას რესპუბლიკის პრეზიდენტი მ. სნეგური; თურქმენეთის პრეზიდენტი ს. ნიაზოვი

1991 წლის 21 დეკემბერი

(Журнал «Дипломатический Вестник», 1992, № 1, 1992, გვ. 7)